დიდი კმაყოფილებით აღვნშნავთ, რომ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა განხორციელების დროს რესპუბლიკაში შესამჩნევად გამდიდრდა სამხედრო-პატრიოტული მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ, სადაც მუშაობდა სპეციალური ჯგუფი, რომელმაც ამ საკითხზე კონკრეტული რეკომენდაციები მიიღო.

სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესებისთვის, შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის ჰაბუკების მომზადების ხარისხის შემდგომი ამაღლების ღონისძიებანი სისტემატურად განიხილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომებზე, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

ამ მუშაობის დონისა და მიზანდასახულობის ამაღლებას ხელს უწყობს სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაც, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი გურამ ენუქიძე, აგრეთვე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ოლქის პოლიტიკური სამმართველოს ერთობლივ ღონისძიებათა გეგმის შესრულება. უთუოო სარგებლობა მოაქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში ამ საკითხებზე რაიონების ხელმძღვანელთა მოსმენის პრაქტიკას.

სამხედრო-პატრიოტული აღზრდის წარმატებას ხელს უწყობს აგრეთვე მრავალი პარტიული ორგანიზაციის ზრუნვა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა სამხედრო მომზადების გაუმჯობესებისათვის. სამხედრო-პატრიოტული მუშაობის სრულყოფის პრობლემებზე ღრმად და ყოველმხრივად მსჯელობენ თეორიული და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების დროს, რომლებსაც რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა აპარატთან ერთად აწყობს ჩვენი ნაწილებისა და შენაერთების ხელმძღვანელი შემადგენლობა.

მაღალ შეფასებას იმსახურებს რესპუბლიკის ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში 45 საბჭოთა კავშირის გმრის, 15 დიდების ორდენის სრული კავალერის, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ვეტერანი ბევრი გენერლისა და ოფიცრის მონაწილეობა.

სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მოსახლეობის მომზადებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო თავდაცვისა და დოსაფის ორგანოებს.

რესპუბლიკის სტუდენტ ახალგაზრდობას შორის დიდ სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას ეწევიან უმაღლეს სასწავლებელთა სამხედრო კათედრები. სტუდენტი ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ქმედითობის ამაღლებაში, სამშობლოს დაცვისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით მის აღზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა სამხედრო მომზადების წარჩინებული სტუდენტების რესპუბლიკურმა შეკრებამ, რომლებიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავს მიეძღვნა. ოღონდ სასურველია, რომ უმაღლეს სასწავლებელთა სამხედრო და სხვა კათედრები უფრო შეწყობილად ურთიერთმოქმედებდნენ ამ მუშაობაში.

სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ქმედითობის, არმიაში სამსახურისათვის ჰაბუკთა მომზადების ხარისხის შემდგომ ამაღლებს ხელს უწყობს ის, რომ სამხედრო კომისარიატებთან შიქმნა თადარიგისა და გადადგარი ოფიცრების ხელშეწყობის ოცი კომიტეტი და 64 ჯგუფი, 150 მუზეუმი, 3500-ზე მეტი საბრძოლო დიდების ოთახი და კუთხე, მომავალი მეომრის 150-ზე მეტი კლუბი და უნივერსიტეტი. უნდა აღინიშნოს რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ წვლილი იმაში, რომ შეიქმნა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის 40 სახალხო უნივერსიტეტი, სადაც სწავლობს 4 ათასამდე ჰაბუკი.

მნიშვნელოვნად გააქტიურდა სამხედრო-საშფო მუშაობა. მის საინტერესო ფორმებსა და მეთოდებს იყენებენ აფხაზეთში, აჭარაში, თბილისის ორჯონიკიძის რაიონსა და ფოთში. პრაქტიკულად რესპუბლიკის ყველა სკოლას შეფობენ ჯარის ნაწილები, მეომრები სასწავლებლებს ქმედითს დახმარებას უწევენ თავდაცვით-მასობრივი და სპორტული მუშაობის გაშლაში, თემატური საღამოების, „მამაცობის გაკვეთილების“, „განთიადი“ და „მართვე“ სამხედრო-სპორტულ თამაშობათა მოწყობაში, საბჭოთა არმიის ნორჩ მეგობართა რაზმების მუშაობაში.

ამ მუშაობას განსაკუთრებით ნაყოფიერად ეწევიან თბილისის უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის ოფიცრები და კურსანტები, სასწავლებლის ჭვეგანაყოფები შეფობენ თბილისის 27-ე სკოლას, 6 ტექნიკუმს, სამ სასწავლებელს, ეს მუშაობა კარგ შედეგებს იძლევა. თუ 1979 წელს სასწავლებელში ჩაირიცხა თბილისის სკოლების კურსდამთავრებული 92 კაცი, 1980 წელს უკვე 165 კაცი იყო.

უნდა აღინიშნოს სამხედრო-პატრიოტული მუშაობა, რომელსაც ეწევიან საქართველოს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში გაიხსნა ათობით ძეგლი, მემორიალური კომპლექსი, რომლებმაც უკვდავყვეს ომის გმირების ხსოვნა. ბევრი მაიგანი თვალსაჩინო მოვლენა გახდა მონუმენტური პროპაგანდის ხელოვნებაში.

ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ მწერლებისა და პოეტების, კინემატოგრაფოსტტებისა და კომპოზიტორების, მხატვრებისა და მოქანდაკეების წვლილს ომის წლებში საბჭოთა ხალხის დიადი გმირობის მხატვრულ ასახვაში და ველით ჩვენი შემოქმედებითი კავშირებისაგან ახალ მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს არმიის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის თანამედროვე ცხოვრების, 80-იანი წლების საბჭოთა ჯარისკაცის შესახებ.

სასიკეთო შედეგებს გვაძლევს მრავალფეროვანი სამხედრო-პატრიოტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობა, რომელსაც ეწევიან რესპუბლიკაში, და განსაკუთრებით ქალაქ თბილისის ლენინის, ოქტომბრის რაიონებში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, თელავში, ტყიბულში, მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

გასაწევი ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების, კულტურული განვითარების, იდეურ-ზნეობრივი სიმწიფის დონე მატულობს. ახალგაზრდა შევსებას, რომელიც არმიაში მოდის, საერთოდ სწორად ესმის სოციალისტური სამშობლოს დაცვის თავისი კონსტიტუციური ვალი. ახალწვეულთა დიდ უმრავლესობას სამხედრო სამსახური სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალად და სპატიო მოვალეობად მიაჩნია, შეგნებული აქვს შეიარაღებული ძალების სოციალური როლი.

რა თქმა უნდა, შეძენილი გამოცდილება უნდა განვამტკიცოთ, განვავითაროთ და გავუფრთხილდეთ მას, მეტად ვიზრუნოთ ამ მუშაობის მინაარსის გაუმჯობესებისა და მისი მრავალფეროვნი ფორმების უფრო სრული გამოყენებისათვის.

ამავე დროს სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში არის ბევრი რეზერვი და გამოუყენებელი შესაძლებლობა, არის სუსტი ადგილები და ხარვეზები. ჩვენი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფას, შეიარაღებული ძალების განმტკიცების ინტერესები კი მოითხოვს სამხედრო-პატრიოტული მუშაობის ყოველმხრივ სრულყოფას.

კონკრეტული ფაქტებით, მაგალითებითა და მოვლენებით ღრმად და საფუძვლიანად უნდა განვუმარტოთ საბჭოთა ადამიანებს ომის საფრთხის ზრდა.

ასეთი სიმწვავით ამ პრობლემას მარტო სამხედრო მოსამსახურეთა წინაშე როდი ვაყენებთ. იგი არანაკლებ მწვავედ დგას სამოქალაქო ახალგაზრდობის წინაშეც, რომელმაც ხვალ ქვეყნის თავდაცვის საფუძველი უნდა შეადგინოს. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა კატეგორიის სამხედრო ვალდებულთათვის.

მშრომელებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის ჩამოსაყალიბებლად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა პატრიოტიზმის, ჩვენი შეიარაღებული ძალების ხასიათისა და დანიშნულების თემის ღრმა გაშუქებას. სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ პარტიის წმიდათაწმიდა ვალია მშრომელები აღზარდოს საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

საჭიროა ახალგაზრდობას მიზნად დაუსახოთ სულიერად და ფიზიკურად ჯეროვნად მოემზადოს არმიასა და ფლოტში სამსახურისათვის, დაძლიოს ამ სამსახურთან დაკავშირებული სიძნელეები.

სამხედრო სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადებაში კი, სამწუხაროდ, ბევრი ნაკლია. ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო, საზოგადოებრივი ორგანიზაციაა ჯეროვან ყურადღებას როდი უთმობს ამას. ზნირად ამ მუშაობას კამპანიურობის ხასიათი აქვს, უკავშირდება საიუბილეო და ღირსშესანიშნავ თარიღებს, აგრეთვე სამხედრო სამსახურში ახალგაზრდების გაწვევის დროს.

ეს დამახასიათებელია ბოგდანოვკის, ლენინგორის, ონის, ხაშურისა და ზოგიერთი სხვა რაიონისათვის.

არმიაში გაწვეულთა გაცილება დმანისის, წალკის და ზოგიერთ სხვა რაიონში ზოგჯერ ფორმალურად, სხვათა შორის ეწყობა.

ჩვენი ბრავალეროვანი სახელმწიფოს პირობებში სამხედრო-პატრიოტული აღზრდა განუყოფელია ინტერნაციონალური აღზრდისაგან.

რესპუბლიკაში შეძენილია მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკმაოდ დიდი გამოცდილება. ამასთან მიგვაჩნია, რომ ამ მუშაობაში უფრო რელიეფურად უნდა წარმოვაჩინოთ სამხედრო ასპექტი. საქმე ეხება იმას, რომ საბჭოთა ადამიანებს ღრმად ჰქონდეთ შეგნებული სოციალიზმის მონაპოვართა ინტერნაციონალური დაცვის მზარდი მნიშვნელობა, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ინტერნაციონალური ამოცანების არსი. საჭიროა დღეიადგ განვუმარტავდეთ ადამიანებს, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიდ ერთიანობას, ურღვევ მეგობრობასა და ძმობას განასახიერებენ. ხალხთა მეგობრობა, რომლითაც არმიისა და ფლოტის მთელი ცხოვრებაა განმსჭვალული, ადუღაბებს მეომართა რიგებს, ხელს უწყობს ჯარების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ყოველი საბჭოთა ერისა და ერთა ოვნების წარმომადგენელს სოციალისტური სამშობლოს დაცვა თავიანთ წმიდათაწმიდა მოვალეობად მიიჩნიათ. ამასთან, ზოგიერთ საკითხს დამატებით უნდა მივაპყროთ ყურადღება. საჭიროა გაუმჯობესდეს მუშაობა სამხედრო სასწავლებლებში ახალგაზრდობის შესარჩევად.

არმიის პრაქტიკის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საჭიროა მეტი ყურადღება დავუთმოთ ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით რუსული ენის შესწავლას.

დაბალია გასაწვევთა პრაქტიკული მომზადების დონე დოსაფის ცალკეულ სკოლებში და განსაკუთრებით პროფტექნიკურ სასწავლებლებში.

და კიდევ ერთი საკითხი. არმიაში სამსახურს, მშვიდობიან დროს ნაწილების მუდმივ სამხედრო მზადყოფნას, მით უმეტეს, თანამედროვე ბრძოლას სპეციფიკა ჯანსაღი და ფიზიკურად გამოწრთობილი ადამიანები.

ამას სიტყვით ყველა ერთხმად აღიარებს, მაგრამ ეს ამოცანა ყველგან სახელმწიფოებრივად როდი წყდება.

სსრ კავშირის კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ სამშობლოს მომავალ დამცველთა დაწყებითი სამხედრო სწავლების, პოლიტიკური მომზადებისა და ფიზიკური გამოწრთობისათვის პასუხისმგებლობას უშუალოდ საწარმოების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების ადმინისტრაციას აკისრებს. ეს სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანაა და თითოეულმა ხელმძღვანელმა — კომუნისტმა თუ უპარტიომ იგი სახელმწიფოებრივად, მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებით უნდა გადაწყვიტოს.

...ოს ...ბ...ბ...ბ

საკრებულისა და
ახალი ამბების
საagentoს
კორესპონდენტები
გვაცნობებენ

ფაქტები მოვლენები

დედამიწის ზურგზე

· 7 ივლისი

● ეკვადორი

ვიზიტი დამთავრდა

კიტო. ეკვადორში დამთავრდა ვიზიტი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაციისა, რომელსაც მეთაურობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. მ. ოკუჯავა.

დელეგაციის შემადგენლობაში აგრეთვე იყვნენ სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ო. გ. მაკაროვი და ჟურნალ „ლატინსკაია ამერიკას" მთავარი რედაქტორი ს. ა. მიქოიანი. დელეგაცია ეკვადორში იმყოფებოდა ეკვადორის მშვიდობის საბჭოს მოწვევით.

ეკვადორში ყოფნის დროს საბჭოთა დელეგაცია მიიღეს ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტმა ლ. როლდოს აგილერამ, წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარემ რ. ვაკა კარბომ. ქალაქების კიტოსა და გუაიაკილის მუნიციპალიტეტებმა საბჭოთა დელეგაციის წევრები ალაკლის საპატიო მოქალაქეებადაც გამოაცხადეს და გადასცეს მათ ამ ქალაქების სიმბოლური გასაღები.

● ესპანეთი

პროტესტის დღე

მადრიდი. ესპანეთის დედაქალაქისა და მისი გარეუბნების ათიათასობით მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა ნატოში ესპანეთის შესვლის წინააღმდეგ აქ გამართულ პროტესტის დღეში. იგი მოეწყო ნატოს საწინააღმდეგო კომიტეტის, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მემარცხენე პარტიების პროფკავშირთა ინიციატივით. დღის განმავლობაში მადრიდის ერთ-ერთი უდიდესი პარკის სხვადასხვა კუთხეში აგოოვებდნენ ხელმოწერას მოწოდებაზე ნატოში ესპანეთის შესვლის გამო საერთო ეროვნული რეფერენდუმის მოწყობის შესახებ. ვრცელდებოდა ფურცლები, ბროშურები, რომლებიც ხალხს ნატოს საწინააღმდეგო კამპანიის გაკატურებისათვის მოუწოდებდნენ.

ნატოში ესპანეთის შესვლის წინააღმდეგ პროტესტის დღე დამთავრდა მრავალათასიანი მიტინგით, რომელზეც გამოვიდნენ მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მემარცხენე პარტიების წარმომადგენლები.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● ქაბული

ავღანეთის ხელისუფალთა გადწყვეტილებით 117 კაცი, რომლებიც ამერილის რევოლუციის მტრებმა მოატაცეს და კონტრრევოლუციურ საქმიანობას ეწეოდნენ, გაათავისუფლეს ქალაქ ყანდაჰის საპატიმროდან. მათ მოინანიეს დანაშაული სამშობლოსა და ხალხის წინაშე და განაცხადეს, რომ მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობაში.

● მაპუტუ

მოზამბიკის სამხედრო-რევოლუციურმა ტრიბუნალმა განაჩენი გამოუტანა კონტრრევოლუციურ ელემენტთა ჯგუფს რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისა და ჯაშუშობისათვის. შვიდი განსასჯელიდან ორს მიესაჯა სიკვდილი, მათ შორის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქეს — სამხრეთ აფრიკის დაზვერვის აგენტს ე. კუს, იგი, კერძოდ, მონაწილეობდა ამა წლის 30 ივნვარს მაპუტუ-მატოლეს გარეუბანზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან მედეანტთა ბარბაროსული თავდასხმის მომზადებაში.

● მანაგუა

ნიკარაგუის წინააღმდეგ მორიგი პროვოკაცია ჩაიდინა სალვადორის მმართველმა პროამერიკულმა ფაშისტურმა ხუნტამ. სალვადორის ხომალდი შეიჭრა ნიკარაგუის ტერიტორიულ წყლებში, დაუშინა ტყვიამფრქვევის ცეცხლი და ხელთ იგდო ნიკარაგუის თევზსაჭერი გემი. ამჟამად იგი სალვადორის ლა-უნიონის ნავსადგურში დგას.

ეს ნიკარაგუის მეექვსე თევზსაჭერი გემია, რომელიც მეკობრულად ხელთ იგდეს სალვადორის სამხედრო ხომალდებმა.

„მითითებანი" საფრანგეთი ოკეანის გაღმიდან

პარიზი. შეერთებული შტატები კვლავ აშკარად ერევა საფრანგეთის საშინაო საქმეებში, შენტაუს უწევს პარიზს და არ მალავს თავის გაგულისებას საფრანგეთის მთავრობაში კომუნისტების შეყვანის გამო. ოკეანის გაღმიდან მოდის „მითითებანი", და „რჩევა-დარიგება" იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ექცეოდეს პრეზიდენტი ფ. მიტერანი „კომუნისტებს". ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაც, რომელიც საფრანგეთის ხელმძღვანელებმა „ძალდატანების აქტად" დაახასიათეს, და მრავალრიცხოვანი სტატიებიც ამერიკის პრესაში. გაზეთები აქვეყნებენ აშკარად ინსპირირებულ ცნობებს, რომელთა მიზანია ფრანგებს „უკარნახონ", თუ როგორ მოიქცნენ.

„ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ამტკიცებს, რომ საფრანგეთის მთავრობა თითქოს აპირებს „გადასცეს ამჟამად კომუნისტი მინისტრისადმი დაქვემდებარებული ტრანსპორტის სამინისტროს ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფუნქცია სხვა სამინისტროებს, რათა თავიდან აიცილოს მოკავშირეებს საგანგებო ვითარებაში მათი მობილიზაციის გეგმებისათვის შესაძლო რისკი".

ამასთან „ვაშინგტონ პოსტი" არ მალავს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საშიშ ეს ძალზე საჩრთირო პრობლემაა", რადგან მას, „უთუოდ სურს, რომ ფრანგებმა აღმოფხვრან ეს პოტენციური სუსტი ადგილი დასავლეთის თავდაცვის უზრუნველყოფაში".

ვაშინგტონის ცდებს სხვადასხვა გზით მოახვიოს თავს საფრანგეთს საკუთარი ნება-სურვილი აქ საკადრის პასუხს სცემენ. მინისტრებად კომუნისტების დანიშვნასთან დაკავშირებით თეორი სახლის მიერ დაკავებული პოზიციის განმარტებისას პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა ამას წინათ განაცხადა, რომ „საფრანგეთის პოლიტიკას საფრანგეთში განსაზღვრავენ და შეუწყნარებელია, რომ სახელმწიფოს შეთაურმა ნება მისცეს თავის თავს იხელმძღვანელოს სხვა რამ მოსაზრებებით, და არა იმით, რაც შეესაბამება საფრანგეთისა და ფრანგთა ინტერესებს".

სვიქია მძვინვარეობს

მანილა. ორას ოცი კაცი დაიღუპა და 65 ათასი უსახლკაროდ დარჩა ტროპიკული ქარიშხლის შედეგად, რომელიც თავს დაატყდა ფილიპინების არქიპელაგის ცენტრალურ ნაწილში მდებარე მინდორის კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროს. გიგანტურმა ტალღამ 11 დასახლებული პუნქტი დაანგრია.

დიდი წყალდიდობა და ნგრევა გამოიწვია ქარიშხალმა არქიპელაგის მთავარი კუნძულის ლუსონის მჭიდროდ დასახლებულ ცენტრალურ და სამხრეთ პროვინციებში. ამ კუნძულზე ფილიპინების დედაქალაქი მდებარეობს. სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ცნობით, ლუსონზე დაინგრა ათასზე მეტი სახლი, უსახლკაროდ დარჩა 47 ათასი კაცი, დაიღუპა 7 კაცი და ათობით ადამიანი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

სამხრეთ ჩინეთის ზღვაში წარმოშობილი უძლიერესი ქარიშხალი ჰონკონგისაკენ მიემართება. გემებმა და სამხედრო ხომალდებმა, მათ შორის 62 ათასი ტონა წყალწყვის ამერიკულმა ავიამზიდმა „მიდუეიმ", დატოვეს ნავსადგური და სახმრაფოდ გავიდნენ გაშლილ ზღვაში.

დაკა. ათობით სოფელი დაიტბორა ბანგლადეშის ჩიტაგონგის ოლქში მდინარეების ადიდების შედეგად. მნიშვნელოვნად დაზარალდა სოფლის მეურნეობა. მოიხსო 12 ათას ჰექტარზე მეტი ბრინჯის ნათესები.

ფოტოობიექტივი ამხილებს

იაპონია საშიში ალიანსის წინააღმდეგ

ტოკიო. იაპონია-ამერიკის სამხედრო ალიანსი, რომელსაც საფუძვლად უდევს „უშიშროების ხელშეკრულება", მძიმე უღლად აწვება იაპონელ ხალხს. იაპონიის ბევრ ქალაქში ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები საპროტესტო მიტინგებით ხვდებიან ცნობებს იმ ახალი ფაქტების შესახებ, რომლებიც მოწმობს ამ ალიანსის საშიშ ხასიათს. ამგვარ ფაქტებს განეკუთვნება ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავის „ჯორჯ ვაშინგტონის" და ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდების ინციდენტები, რომლებმაც დიდი ზარალი მიაყენეს იაპონელ მეზადურეებს, აგრეთვე გახმაურებული ცნობები იაპონიის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის შეტანისა და განლაგების თაობაზე.

სურათებზე: ამერიკული ვერტმფრინავმზიდი „ოკინავა" იაპონიის ნაპირებთან; ტოკიოელი ახალგაზრდობის საპროტესტო გამოსვლა.

ქამერა პრეს-საქმიანის ფოტო.

მიმდინარეობს ექსპერიმენტი

კაკაო საქართველოში ხარობს

საქართველოს სუბტროპიკების პირობებში შეიძლება მივიღოთ კაკაოს ხის ნაყოფი. ეს დაამტკიცეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღის საყრდენი პუნქტის მუშაკებმა. სელექციონერებმა ეს ძალზე ჭირვეული და სითბომოყვარული ხე შეუგუეს ორანჟერეას, მათ მიერ მოწეული კაკაოს მოსავალი მოეწონათ გაგრელ ქვების მრეწველობის მუშაკებს. ამ ნედლეულით დამზადებული შოკოლადი გამოირჩევა მაღალი ხარისხით.

კაკაოს ხე, რომელსაც სხვაგვარად შოკოლადისას უწოდებენ, პრაქტიკულად ვერ იტანს ათ გრადუსზე დაბალ ტემპერატურას. ქართული სუბტროპიკები კი, როგორც ცნობილია, ყველაზე ჩრდილოურია მსოფლიოში. აი რატომ არის ძალზე რთული საქმე კაკაოს აკლიმატიზაცია საქართველოს ზავი ზღვისპირეთის ზოლში. მეცნიერებმა, რომლებმაც მოაშენეს ხე ორანჟერეებში, მიაღწიეს იმას, რომ მან გაიხარა ადგილობრივ ნიადაგში. ახლა გადაწყვეტილი გვაქვს გადავრგათ მცენარე ღია გრუნტში.

კაკაოს ხე შეემატა საქართველოს ეგზოტების ოჯახს. აქ ხარობს ზღმარტლი და ავოკადო, ფეიჰოა და ჯავზი, ქაფურის ხე და სანდალოზი — ათობით ხე და ბუჩქი, რომლებიც ცხელ ქვეყნებიდან ჩამოიტანეს.

ჩავაყენოთ ეგზოტები ადამიანის სამსახურში, გავიგრცელოთ ისინი სუბტროპიკულ მეურნეობებში — ამ ამოცანის გადაწყვეტაზე შრომობენ საქართველოს მეცნიერები და სპეციალისტები.

ვ. ფულეისკირი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტი. (საქინფორმი).

მოსკოვის დიდი ეკრანი

გუშინ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში მეთორმეტედ აღიმართა საერთაშორისო კინოფესტივალის ალამი. ფესტივალი ეწყობა დევიზით — „კინოხელოვნების პუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის". სწორედ ამ დევიზის იდეა განსაზღვრავს კონკურსის ფორმასა და შინაარსს.

როგორც ყოველთვის, ეს ფესტივალიც დიდი წარმომადგენლობით გამოირჩევა. ამჯერადაც მონაწილეობენ საფრანგეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, ინდოეთის კინემატოგრაფისტები, მათ გვერდით ვიხილავთ კამერუნის, კენიის, ეკვადორის, უგანდის, ზაირისა და სხვა ქვეყნების ეკრანის ახალგაზრდა ოსტატთა ნამუშევრებს. სულ კი ამ კინოფორუმში 95 ქვეყანა და ოთხი საერთაშორისო ორგანიზაცია მონაწილეობს.

კვლავ მოეწყობა სამი დამოუკიდებელი კონკურსი: მხატვრული, მოკლემეტრაჟიანი და სამეცნიერო ფილმებისა. ამ კონკურსების ჟიურის ხელმძღვანელობენ კინორეჟისორები ს. როსტოცკი, ლ. მახნაჩი და მწერალი ა. ალექსინი.

მხატვრული ფილმების ჩვენება ცენტრალურ სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში ეწყობა, მოკლემეტრაჟიანისა — კინოთეატრ „ზარადიეში", ხოლო სამეცნიერო კინოფილმებისა — ლენინის გორაზე მდებარე პიონერთა სასახლეში. ამ უკანასკნელს ავტორიტეტული ჟიურის გარდა ნორჩი მაყურებლებიც — ყველაზე საუკეთესო შემფასებელნიც ეყოლება.

ფესტივალის პროგრამა ითვალისწინებს კინობაზარს, რომლის ეკრანიც მრავალი ქვეყნის ახალ ფილმებს ფართოდ გააცნობს იმათ, ვინც დაინტერესებულია კინოფილმების შესყიდვით. მოეწყობა აგრეთვე დისკუსია ფესტივალის „მოგვალ მაგიდასთან", რომელშიც შემოქმედ მუშაკებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ კინომცოდნეები, კრიტიკოსები, ჟურნალისტები.

დათვალიერებაში მონაწილეობს შემდეგი საბჭოთა ფილმები: სრულმეტრაჟიანი ფილმები „თეირანი — 43" და „ჯამალის ხე", სამამავშო ფილმები „შავი დედალი ანუ ქვესკნელის მცხოვრებნი", სრულმეტრაჟიანი მულტფილმი „მესამე პლანეტის საიდუმლო", მოკლემეტრაჟიანი ფილმები „ორაგამქვეყნიური ამბავი", „შეეკითხეთ დედებს", „განშორებულნი", „გზად ნაამბობი ზღაპარი", „საუკუნო ხსოვნა" და „გული" — ეს უკანასკნელი საქართველოს სამეცნიერო პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიამ წარმოადგინა. იგი რეჟისორმა ლ. ბაქრაძემ გადაიღო. („კომუნისტის" კორ.).

სიცილის ოსტატი

ოცდათხუთმეტი წელი ესტრადაზე

ონავარი ყმაწვილებისაგან თავმობეზრებულ ტომატის გამყიდველზე გვეცინებოდა, ორმოცდაათიან წლებში ასეთი პოპულარული საესტრადო ინტერმედია ალბათ არც არსებობდა. როგორ აჯარებდა ქართლოს კასრაძე, რა ხმის ფერებით ამკობდა მსახიობი თავის გმირს — ძია გაბოს, ყალთაბანდ სტუდენტებს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და აი, უკვე ოცდათხუთმეტი წელი გასულა, რაც ქართულ საბჭოთა ესტრადას ერთგულად ემსახურება პოპულარული მსახიობი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ქართლოს კასრაძე. მას ბეჭდილებით მოვლილი აქვს საქართველოს ყველა კუთხე, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთია და შუა აზიის რესპუბლიკები, ურალი, ციმბირი, პოლარული ჩრდილოეთი, შორეული აღმოსავლეთი. გამოდიოდა ჯ. ბაგრატიონისა და გ. გაბესკირიის ორკესტრებში, „რეროში", „ორერაში", „დიეროში", „ციცინთელაში", „კოლხეთში", „ენგურში". გამართული აქვს ორიათას რვაასზე მეტი კონცერტი. გასტროლებით რამდენიმეჯერ მოიარა უცხო ქვეყნები, პროგრამა მიჰყავდა... ჩეხოსლოვაკიაში — ჩეხურად, ფინეთში — ფინურად, დანიაში — დანიურად, საფრანგეთში — ფრანგულად, ინგლისში — ინგლისურად, ნორვეგიაში — ნორვეგიულად, შვეიცარიაში — შვეიცარიულად... შვედურმა პრესამ ქართლოს კასრაძეს „პატარა ჩაპლინიც" კი უწოდა. ამ თავისებური, ნიჭიერი შემოქმედისათვის თითქოს აღარც არსებობს ენობრივი ბარიერი — ღიმილით გადაცემული პროგრამის ტექსტის თარგმანი საღამოსთვის უკვე მზადა აქვს ესტრადაზე გამოსასტანად.

პაროდიებსა და ინტერმედიებში იგი არასოდეს არ ხმარობს ნიღაბსა და გრიმს. შეიცვლის ქოჩორს (ან ქუდს) და თქვენს წინაშე ხან დამთხვეული ადოლფ ჰიტლერია, ხან ნაპოლეონი, ხან ალექსანდრე მაკედონელი,

როგორც ავტორი — იუმორისტი, იგი მხოლოდ საკუთარ ტექსტებს კითხულობს სცენიდან, და მაყურებელი კმაყოფილია.

ქართლოს კასრაძე ფილოლოგია, მწერალი, ჩვენი მკითხველი მოწონებით შეხვდა მისი „ნოველების" წიგნს, შემდეგ კი 700-გვერდიან ნაშრომს „ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე". მალე გამოიცემა მეორე ნაწილიც ამ წიგნისა „ტრიუმფი გრძელდება". ორივე წიგნი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლს ეძღვნება.

ისევ ახალგაზრდული გატაცებით მოღვაწეობს ქართული ესტრადის მსახიობი — კონფერანსიე, სიცილის ოსტატი ამბელს ჯერ კიდევ შემორჩენილ მანკიერებებს, მაყურებელში აღვივებს ხალისს, სიცოცხლისადმი სიყვარულს.

ვ. მაღლაკელიძე.

● ●

სურათზე: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ქართლოს კასრაძე.

„დინამო" — „გრაცერი"

თბილისი დინამოელები ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში შეხვდებიან „გრაცერს" (ავსტრია, ქალაქი გრაცი). ეს ცნობილი გახდა წეილისყრის შემდეგ, რომელიც გუშინ გაიმართა უეფას შტაბ-ბინაში (შვეიცარიის ქალაქ ციურიხში).

კიევის „დინამოს" ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ წრეში შეხვდებიან თურქეთის გუნდს „ტრაბზონსპორს". დონის როსტოვის არმიის სპორტული კლუბის ფეხბურთელები თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში ხვდებიან თურქეთის გუნდს „ანკარაგიუჯუს", უეფას თასის გათამაშებაში მოსკოვის სპარტაკელები უმასპინძლებენ ბელგიის „ბრიუგესს", ლენინგრადის „ზენიტი" — „დრეზდენის „დინამოს" (გდრ), ცსკა — ავსტრიის „შტურმს".

საბჭოთა გუნდები პირველ მატჩებს საკუთარ მოედანზე გამართავენ.

პირველი წრის შეხვედრები გაიმართება 16 და 30 სექტემბერს. მეორე წრის წილისყრა მოეწყობა 2 ოქტომბერს, ხოლო მატჩები — 21 ოქტომბერსა და 4 ნოემბერს. უეფას თასის მერვედფინალის შეხვედრები გაიმართება 6 ნოემბრის წილისყრის შემდეგ (შეხვედრები გაიმართება 25 ნოემბერს და 9 დეკემბერს).

სამივე ტურნირის მეოთხედფინალება მოეწყობა 1982 წლის 3 და 17 მარტს, თასების მფლობელთა თასის ფინალი — 12 მაისს, ჩემპიონთა თასის ფინალი — 26 მაისს, უეფას თასის ფინალური შეხვედრები — 5 და 19 მაისს.

თბილისის „დინამოსა" და „ლივერპულის" სუპერთასისათვის შეხვედრის თარიღები დადგინდება მოგვიანებით.

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

● **საინტერესო** ინიციატივას იჩენენ ყოველწლიურად იტალიის ტელევიზია და სპორტული გაზეთი „გერინ სპორტივო". მათი თხოვნით ცნობილი სპეციალისტებისგან შემდგარი ჟიური გამოაყოფს იმ მოთამაშეებს, რომლებიც თავს გამოიჩენენ ევროპის საკლუბო ტურნირებში და ყოველი წრის მერე ქულებს ანაწილებენ. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ თავისებურ კონკურსში მხოლოდ ის ფეხბურთელები მონაწილეობენ, რომელთა ასაკი არ აღემატება 28 წელს. შარშან ევროპის საკლუბო ტურნირების საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად მიჩნეულ იქნა „შტუტგარტისა" და გფრ-ის ნაკრების ნახევარმცველი ჰანსი მიულერი. წლეულს კი „ბრავო-1981" (ახე ჰქვია ამ პრიზს) ინგლისის „იფსვიჩ თაუნის" ცენტრალურ თავდამსხმელს, შოტლანდიელ ჯონ უორკს ერგო.

● **საფეხბურთო** სამყაროში დიდი მითქმა-მოთქმაა იმის თაობაზე, რომ ესპანეთის ერთ-ერთ უძლიერეს და უმდიდრეს კლუბს „ბარსელონას" მსოფლიო ჩემპიონის, არგენტინის ნაკრების მწვრთნელის ხესარ ლუის მენოტის გადახბირება სურს. სულ ახლახანს „ბარსელონამ" ხელი მოაწერა ერთწლიან კონტრაქტს დასავლეთგერმანელ სპეციალისტთან უდო ლატეკთან, მაგრამ მიმმხილველები ხაზს უსვამენ ამ კონტრაქტის მოკლე ვადას და ვარაუდობენ, რომ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მერე „ბარსელონას" მენტორი ჩაუდგება სათავეში. თვით მენტორიმ განაცხადა, რომ თუ მისმა ნაკრებმა ვერ შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, მაშინ იგი სიამოვნებით დარჩება ესპანეთში,

პრეზიდენტის მზადების ეტაპები

მოჰადრაკე ვაჟთა შეჯიბრებებში მონაწილეობა ნანა ალექსანდრიასათვის ახალი ამბავი არ გახლავთ. მას სხვა დროს უფრო ძლიერი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირშიც კი მიუღია მონაწილეობა, ვიდრე ჰალეს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ასპარეზობა იყო. მაგრამ ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიმმხილველები დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს პრეტენდენტის გამოსვლას ამ პაექრობაში. ეს გასაგებიც არის — მსოფლიო პირველობის მატჩამდე ხომ მაინცდამაინც დიდი დრო ალარ რჩება.

მსოფლიო პირველობის მატჩის მზადებისათვის სხვადასხვა გზა არსებობს. მსოფლიოს ჩემპიონი, მაგალითად, ბევრს თამაშობს. ასე იყო 1978 წლის მატჩის წინ, ასეა ახლაც. ნანა ალექსანდრია სხვანაირად იქცევა — იგი ძირითად დროს მომზადებას უთმობს. მოგავალი დაგვანახვებს, თუ რომელი ტაქტიკაა სწორი. მაგრამ საშინაო მზადებასთან ერთად ნანა ალექსანდრიას გეგმაში ჰალეს საერთაშორისო ტურნირიც შედიოდა.

ჰალეს ასპარეზობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა. ბერლინის გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა" დიდი წერილი მიუძღვნა პრეტენდენტს ასეთი სათაურით „ქალი, რომელიც ვაჟებს ეთამაშება". კორესპონდენტ ვოლფგანგ რიხტერის კითხვაზე, რატომ თამაშობს ჰალეში, პრეტენდენტმა ასე უპასუხა: „ამ საერთაშორისო ტურნირში შესანიშნავი შემადგენლობაა, მისი საბრძოლო ხასიათი ჩემთვის ძლიერ სასარგებლოა მსოფლიო პირველობისათვის მოსამზადებლად". კითხვაზე, რა განსხვავებას ხედავს ვაჟთა ჭადრაკსა ქალებს შორის ნანამ მიუგო: „ვაჟები ქალებზე უფრო რაციონალურად ფიქრობენ და თამაშობენ".

ამასთან პრეტენდენტი მიიჩნევს, რომ ქალთა ჭადრაკი ვაჟებთან შედარებით გაცილებით უფრო ახალგაზრდაა. პირველ რიგში მას მოჰყავს მსოფლიოს ჩემპიონმაია ჩიბურდანიძის მაგალითი, რომელიც წარმატებით თამაშობს ვაჟებთან.

საუბარი შეეხო იმ დიდ პოპულარობას, რომლითაც საქართველოში ჭადრაკი სარგებლობს, შესანიშნავ პედაგოგ ვახტანგ ქარსელაძეს და მის დიდ დამსახურებას. „ერთ დღეს მან პატარა გოგონა მოიყვანა და თქვა, იგი მსოფლიოს ჩემპიონი გახდებაო. ყველამ ურწმუნოდ გაიქნია თავი. მაგრამ ნონა გაფრინდაშვილი — და ის გოგონა სწორედ ნონა გახლდათ — შემდეგ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი გახდა.

ნანა ალექსანდრია თვლის, რომ მოჭადრაკე ქალები უფრო მებრძოლნი ყოფილან, ვიდრე ვაჟები. ვაჟებთან ბევრი პარტია სწრაფი ყაიმით მთავრდება, ქალებთან კი ეს ასე არ ხდება. მაგალითად, ალექსანდრიას შეხვედრა ლიტინსკაიასთან არც მეტი, არც ნაკლები, 14 საათს გაგრძელდა. 1975 წელს ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას მატჩში მსოფლიო პირველობაზე მხოლოდ ერთი პარტია დასრულდა ყაიმით.

ჰალეს ტურნირს დიდ ყურადღებას უთმობდა ბერლინის გაზეთი „დოიჩეს შპორტეხი". როგორც მიმოწერით ჭადრაკის დედოსტატი ჰორტ რიტნერი (ჟურნალ „შახის" რედაქტორი) წერდა, ვოლფგანგ ულმანის გამარჯვება — პირველი ადგილი 10 ქულით — სრულიად დამსახურებული იყო. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას ძალიან „დაეხმარა" ნანა ალექსანდრია. მან მრავალწლიანი დიდოსტატის წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა, სრულიად მოსაგები პოზიციაც მიიღო, მაგრამ შემდეგ მძიმე შეცდომა მოუვიდა.

ასეა თუ ისე, ჰალეს ტურნირში მონაწილეობა ნანა ალექსანდრიასათვის უდავოდ სასარგებლო გახლდათ. მან არაერთი საინტერესო პარტია ითამაშა, არაერთი ვარიანტი გამოსცადა. ეს იყო მისი მსოფლიო პირველობისათვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი. ახლა ისევე შინ მზადებისა და ანალიზის დრო დადგა.

გ. გამრეკელი.

მოსწავლეთა საკავშირო...

ლიტვაში გრძელდება მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადა. კაუნასში დაიწყო ფეხბურთელთა ასპარეზობა. საქართველოს ნაკრებმა პირველი შეხვედრა თავის ქვეჯგუფში ლატვიის გუნდთან გამართა და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 4:0. მომდევნო მატჩი ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელებმა სომხეთის ნაკრებთან გამართეს. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1.

ვილნიუსში საქართველოს კალათბურთელებმა მორიგი მატჩები ასე დაამთავრეს: გოგონებმა მოუგეს ტაჯიკეთის გუნდს 53:35, ხოლო ჭაბუკებმა — სომხეთის ნაკრებს — 58:57. საქართველოს გოგონათა და ვაჟთა გუნდები ახლა VII-XII ადგილებისათვის მებრძოლ ჯგუფებში განაგრძობენ ასპარეზობას.

საბურნირო ორგიტა

ფეხბურთი. გუშინ „ტორპედოსა" და „სპარტაკის" მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

მშვილდოსნობა. ულან-უდეში დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშება. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ს. ტელეგამ (ახალი კახოვკა), ქალებში კი უძლიერესი იყო ნ. ბუტუზოვა (მოსკოვი). თბილისელი ქეთევან ლოსაბერიძე ამ ასპარეზობაში არ მონაწილეობდა.

ველოსიპორტი. ტალინში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში სპრინტერთა შორის კარგად იასპარეზა თბილისელმა ე. ველაშვილმა. მან მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. შესაბამისად პირველმეორე ადგილებზე გამოვიდნენ ტულელი ს. კოპეოლოვი და კრასნოდარელი ს. ჟურავლიოვი.

ვ. მ. მაქაცარია

საკოლმეურნეო მშენებლობის ნოვატორთა რიგებს გამოაკლდა სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, **ვლადიმერ მიხეილის ძე მაქაცარია.**

ვ. მაქაცარია დაიბადა 1900 წელს. ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელში, სადაც მიიღო დაწყებითი განათლება. 1930 წლიდან შემოქმედებითს შრომას ეწეოდა მშობლიურ სოფელში. იგი აქტიურად მონაწილეობდა ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნეობის სამეურნეო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მის სახელთან არის დაკავშირებული სიმინდის მარცვლის მოყვანის მრავალი რაციონალიზატორული წინადადება და სარეკორდო მაჩვენებლები.

1949 წელს ყოველ ჰექტარზე 70 ცენტნერი სიმინდის მარცვლის მიღებისათვის კოლმეურნეობის სხვა მრწოლავეებთან ერთად ვ. მ. მაქაცარიას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. საკოლმეურნეო დოვლათის შექმნაში მიღწეული წარმატებებისათვის იგი დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, შრომის წმიდელი დროშის ორდენით, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სამი ოქროს მედლით, სხვადასხვა მედლითა და საპატიო სიგელებით.

მრავალჯერ იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე.

იგი აქტიურად მონაწილეობდა კოლმეურნეობის საზოგადოებრივ საქმიანობაში, მრავალჯერ იყო არჩეული სასოფლო საბჭოს დეპუტატად, კოლმეურნეობის გამგეობის წევრად, საწარმოო ბრიგადის ბრიგადირად.

1968 წლიდან ვ. მაქაცარია იმყოფებოდა პერსონალურ პენსიაზე. საკოლმეურნეო მშენებლობის ნოვატორის, თავმდაბალი, უწყინარი და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი კაცის ვლადიმერ მიხეილის ძე მაქაცარიას ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

8 ივლისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — ფილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „ბოამბე", 10.35 — საგელვეზიონო დოკუმენტური ფილმი „შემოქმედნი". 11.30 — მხატვრული ფილმი „ოქროს კერპი". მეორე სერია, 13.00 — „ტელეკურსი მათემატიკაში, 16.55 — ჩვენი სახალხო-ფუფლო კინოდარბაზი. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სათვალიანი", 17.45 — ბავშვებისათვის — „ჯადოსნური სალებავი", 18.25 — ქართული საგელვეზიო დოკუმენტური ფილმი „გაბარჯგობა, ფელფინო"!, 18.45 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 19.15 — „რედაქციაში წერილი მოვიდა", 19.45 — „ფლეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „ბოამბე", 20.30 — „შემოქმედებითი პორტრეტები". კინორეჟისორი ოთარ ბუესაძე, 21.20 — „თვალთან", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: ცსკა-მოსკოვის „დინამო" (მ.), შესვენების დროს — „ბოამბე".

მეორე პროგრამით: 17.10 — საგელვეზიონო დოკუმენტური ფილმი „თანაადგორები", 18.35 — განცხადებები, 18.40 — მხატვრული ფილმი „საბედისწერო პიკნიკი".

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1981-82 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

ისტორია-ფილოლოგიისა და დაწყებითი განათლების ფაკულტეტი:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა და ისტორია;

ბ) რუსული ენა და ლიტერატურა;

გ) დაწყებით